პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
ხუთშაბათი
23 ოქტომბერი
№ 244 (17887)
ფასი 2 კაპ.

პრის 770 ათასი ტონა ყურძენი!

საქართველოს მევენახეთა დიდი შრომითი გამარჯვება

რთველი — 80

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მევენახეებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებითა და რეკომენდაციებით, და ფართოდ გაშალეს საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება, მოიწიეს უხვი მოსავალი და წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. 22 ოქტომბრისათვის დარგის განვითარების ისტორიაში პირველად დამზადდა 771,8 ათასი ტონა ყურძენი, რაც გეგმაზე 121,8 ათასი ტონით მეტია.

გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გურჯაანის, თელავის, ყვარლის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, საგარეჯოს, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონების მევენახეებმა.

ყურძნის დამზადება გრძელდება. (საქინფორმი).

სურათზე: სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადება განსაზღვრავს საბჭოეთის შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმს. ყველგან ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიული ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს საბჭოთა ადამიანები აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, სახავენ კომუნისტური აღმშენებლობის ახალ მიჯნებს. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საქმიანობა ყოველმხრივ გააანალიზეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმზე. პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში პარტიისა და ხალხის წინაშე დასახულია ახალი პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპს.

პარტია ეგებება თავის ყრილობას ხალხთან მჭიდრო ერთიანობით, განაცხადა პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, ეგებება მოკმედების მკაფიო პროგრამით საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მთლიანად და სავსებით იწონებენ ამ პროგრამას, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

ხალხის რჩეულნი, რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თანამომდევრულად განახორციელონ ლენინური პარტიის წინასწარდასახულობანი, შეიკრიბნენ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე. იგი 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე გაიხსნა კრემლის დიდ სასახლეში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს: ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, ა. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ბ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ტ. ი. კისელიოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად წარმოდგენილია საკითხები:

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა 1980 წელს.

2. სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ — კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა წინადადება წამოაყენა შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

მოხსენება — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“ — გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. კ. ბაიბაკოვმა.

შემდეგ მოხსენება — „სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ — გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ვ. მ. გარბუზოვმა.

ამის შემდეგ სესიის მუშაობა მიმდინარეობდა პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე.

ეროვნებათა საბჭოში

პალატის სხდომაზე დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ი. პელშეს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

სხდომა მიმდინარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. პ. რუბენის თავმჯდომარეობით.

შეკრებილებმა პატივი სცეს სესიათა შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების პ. მ. მაშეროვის, ვ. ნ. ტიტოვის, პ. ი. ვლასოვის, გ. ა. ტიტოვის ხსოვნას.

სამანდატო კომისიის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ა. ბ. კორკინმა. მოხსენების გამო მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სამეურნეო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ი. მასლენიკოვმა წაიკითხა მუდმივ კომისიათა თანამოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, თქვა ორატორმა, ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მხურვალე მადლობას უხდიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც დაუღალავად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, უთვალსაჩინოესი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამართულ პლენუმზე შინაარსიან და ყოველმხრივ დასაბუთებულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირეული გზები.

კომისიები, თქვა შემდეგ ორატორმა, აღნიშნავენ, რომ 1981 წლის სახელმწიფო გეგმა შემუშავებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად.

გეგმის დავალებათა მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

ეროვნებათა საბჭოს მუდმივმა კომისიებმა კავშირის საბჭოს კომისიებთან ერთად გამოძებნეს შესაძლებლობა 1981 წელს გადიდდეს სახალხო მოხმარების ცალკეულ სახეობათა საქონლის წარმოება და რეალიზაცია 171,2 მილიონი მანეთის საერთო ოდენობით და ამის გათვალისწინებით წინადადება შემოაქვთ დამტკიცდეს სახელმწიფო გეგმა.

კომისიებს წინადადება შემოაქვთ, 1981 წლის გეგმის შესწორების გათვალისწინებით გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავალგასავალი 130.580 ათასი მანეთით.

მუდმივმა კომისიებმა, თქვა შემდეგ ორატორმა, აღნიშნეს მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შუშაობის დადებითი შედეგები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სეროზულ ნაკლოვანებებს, გამოუყენებელ შესაძლებლობებს.

მუდმივმა კომისიებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს სახურსათო პროდუქტებზე მოსახლეობისა და ნედლეულზე — გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების ამოცანათა გადაწყვეტა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკა წარმატებით შრომობს მეათე ხუთწლედის დავალებათა დასამთავრებლად, თქვა დასასრულ ორატორმა. უდიდესი კმაყოფილებისა და მიღწეულის გამო სიამაყის გრძნობით ეგებება საბჭოთა ხალხი ქვეყნის ცხოვრების უთვალსაჩინოეს მოვლენას — ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

კამათში გამოვიდა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ვ. ი. კაზაკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთის მშრომელები ისწრაფვიან წარმატებით დაამთავრონ 1980 წლისა და მთელი მეათე ხუთწლედის გეგმა.

(დასასრული მე-3 გვ.)

პარტიის გეგმაებს — მშრომელთა გარანტია!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია.

სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებში ცხოველი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს.

საქართველოს მშრომელები გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ლენინური პარტიის XXVI ყრილობას შეხვდებიან ახალი შრომითი მიღწევებით, ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ 1981 წლის — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

საქმით ვუპასუხებთ

გუშინ გულდასმით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლას. მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ მოხმარების საგნების სწრაფი ალმავლობა უპირველესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა, ჩვენთვის, სამკერვალო ინდუსტრიის მუშაკებისათვის, მეტად ახლობელი და გასაგებია.

მართლაც, რა არის იმაზე საპატიო, რომ ზრუნავდე ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის. დარგი, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავართ, სწორედ ამ დიდ მისიას ემსახურება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, რომელიც ჩვენი ხალხის სამომავლო დიდებული პროგრამაა, სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია წარმოების მართვისა და დაგეგმვის მექანიზმის, მეურნეობის მეთოდებისა და საშუმარსულებლო დისციპლინის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აყვანის საკითხებზე. ხუთწლედის განვლილ პერიოდში მიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ მკაფიო და ღრმაშინაარსიან სიტყვას. ჩვენ გვახარებს მიღწევები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და ამავე დროს ვფიქრობთ, რომ მუშაობაში საჭიროა უფრო მეტი მომთხოვნელობა, ორგანიზებულობა, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სამართლიანად მიუთითებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს:

„განუხრელად უნდა ვნერგოთ მოწინავე გამოცდილება, ვაუმჯობესოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა და წარმოების ორგანიზაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება, მუშაობაში ინიციატივის განვითარება, წვრილმანი მეურვეობის, ადმინისტრირების დაუშვებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიმართ“. ეს საპროგრამო მითითებაა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს მუშაობაში.

ჩვენი მეურნეობის მშრომელებმა სასახელოდ იმუშავეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ღირსეულად შეგასრულეთ პარტიისათვის მიცემული სიტყვა, დასასრულს უახლოვდება რთველი. სახელმწიფო მარანს ჩავაბარეთ ორი ათასი ტონა ყურძენი, ვალდებულების ანგარიშში მოგვიწევს მოვკრიფოთ კიდევ 300 ტონა ყურძენი. წარმატებით შეგასრულებთ აგრეთვე სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმას. მეურნეობა დიდი წარმატებით ამთავრებს წლეულდელ სამეურნეო წელს.

ჩვენ უკვე ახლა ვსახავთ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებს. თითქმის ორჯერ გავზრდით ყურძნის წარმოებას. ამისათვის გავაშენებთ ახალ ვენახებს, მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის გზით გავზრდით მოსავლიანობას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით ფართოდ გამოვიყენებთ მექანიზაციას, გავასარწყავებთ ასობით ჰექტარ მიწას.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვის პასუხად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ ღირსეულად შეგასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებები,

ქ. ზარნაძე,
ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ძალ-ღონეს არ დავიშურებთ

დიდი კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

აეროდრომზე ა. პ. კირილენკო გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა დ. ა. კუნაევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკადესი).

თბილისიდან გაემგზავრა

22 ოქტომბერს სპეციალური რეისით თბილისიდან ლენინგრადში გაემგზავრა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ბაბრაკ ქარმალი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროპორტში ბ. ქარმალი გულთბილად გაეცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გელაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ნ. ინაურმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ე. ხაბეიშვილმა.

სტუმარი გააცილეს აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ლ. ქორთველიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობების განყოფილების გამგემ ო. შ. ქაჯაიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა თ. ი. ხელაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშარაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწეებმა ვ. ტ. ალფენიძემ და ლ. ა. პირადოვმა, საქართველოს სსრ მინისტრებმა გ. ი. გვეტაძემ, ო. დ. ქინქლაძემ და დ. ი. ჩხიკვაშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა ი. გ. გვერდწითელმა და ნ. ა. ფოფხაძემ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზ. გ. ახალედიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა თ. გ. სტეპანოვმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. დ. გაბუნიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობების განყოფილების გამგემ ნ. ა. ოშიტაშვილმა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდელაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილემ ი. ო. ანდრიაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილემ ჰ. ა. ჭიპაშვილმა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ნ. ბ. რუხაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ქუჩები და მოედნები, რომლებიც გაიარა აეროპორტისაკენ მიმავალმა ავტომანქანების კორტეჟმა მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით, მორთული იყო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ტრანსპარანტებით. საქართველოსა და ავღანეთის ხელმძღვანელებს გულთბილად ესალმებოდნენ თბილისელები.

ბ. ქარმალთან ერთად ლენინგრადში გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფ. ა. ტაბეევი, აგრეთვე სსრ კავშირში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული მ. ს. დანეშჯო, რომლებიც ქვეყანაში მოგზაურობის დროს თან ახლავან მას.

(საქინფორმი).

მეგობრულ ვიზიტად

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 22 ოქტომბერს მოსკოვიდან პრაღას მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა ოქტომბრის დამლევს.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენებიდან

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია შემდინარეობს საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ჩვენი პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადებით, რომელიც შეაჯამებს მეათე ხუთწლიანი გეგმის დაგალებათა შესრულების შედეგებს, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკას კომუნისტური მშენებლობის მომავალ ეტაპზე.

საბჭოთა ხალხი ეგებება ყრილობას კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, ერთსულოვნად უპერს მზარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს მშრომელთა საარსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თქვენს განსახილველად შემოაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მირითადად მოწონებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი. ახალ ხუთწლედში, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, უნდა განვახორციელოთ დიდი ცვლილებანი ეკონომიკის სტრუქტურასა და პროპორციებში, სრულყოთ შექმნილი დარგობრივი და ტერიტორიული ურთიერთობა, გამოვავლინოთ ის რგოლები, სადაც მინიმალური დანახარჯებით შეიძლება მივიღოთ უმეტესი და სწრაფი ეფექტი.

მომავალი წლის გეგმა მომზადებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლების ძირითად მიმართულებებთან კავშირით, რომლებიც მუშავდება ჩვენი ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ძირეულ პრობლემებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული მითითებებისა და დასკვნების გათვალისწინებით, გეგმაში აისახა აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებანი.

გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ღრმად გააანალიზა სახალხო მეურნეობის მდგომარეობა მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნაზე, დასახა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული ამოცანები.

1980 წლის გეგმის შესრულების შედეგები

ხუთწლედის შედეგები მთლიანად დიტალურად განხილული იქნება სკკპ XXVI ყრილობაზე, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ახალი წარმატებანი პარტიის იმ ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციაში, რომელიც სკკპ XXIV და XXV ყრილობებზე ჩამოყალიბდა.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე განხორციელდა სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამა, წლითიწლობით სულ უფრო სრულად კმაყოფილდება მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, იხვეწება სოციალისტური ცხოვრების წესი.

განმტკიცდა პოლიტიკური ერთიანობა, გაფართოვდა მრავალმხრივი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნებთან, რომლის როლი და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე განუხრელად იზრდება.

განზოგადებული სახით საბჭოთა ეკონომიკის განვითარების შედეგებს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ეროვნული შემოსავლის მატება. 1979 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი 1980 წელს 3,8 პროცენტით გაიზრდება, და 436 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს. სამინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯების გათვალისწინებით ამ თანხის ოთხი მეხუთედი უშუალოდ ხმარდება ხალხს ეთილდღეობის უზრუნველყოფას.

წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზრდება 4 პროცენტით, ანუ 24 მილიარდი მანეთითა და მეტად. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ნავთობქიმიური, გაზის მრეწველობა და სხვა დარგები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულმა პროდუქციის მატების სამ მეოთხედზე მეტს.

თანამიმდევრულად ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა, რომლის მიზანია საჭირო პირობები შეუქმნას ამ უმნიშვნელოვანეს დარგს სწრაფი აღმავლობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს სურსათზე, ხოლო მრეწველობისას — ნედლეულზე. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგენს 36,2 მილიარდ მანეთს — 3 პროცენტით მეტს, ვიდრე ამ მიზნებისათვის 1979 წელს დაიხარჯა.

წელს სოფლის მშრომელთა მუშაობა, ისევე როგორც 1977 და 1979 წლებში, მეტად გაართულა არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გასულ ხუთწლედთან შედარებით, მიმდინარე ხუთწლედში 9 პროცენტით გაზარდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა. მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 12 პროცენტით. გაიზარდა აგრეთვე ბამბის, მემცენარეობის სხვა სახეობათა პროდუქციის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოება და შესყიდვა.

სახელმწიფო მნიშვნელოვან სახსრებს ახმარს ტრანსპორტის განვითარებას. 1979 წელთან შედარებით 1980 წელს საერთო ტვირთბრუნვა 4,2 პროცენტით გადიდდება. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის ტრანსპორტი მთლიანად ვერ ასრულებს ტვირთის გადაზიდვისა და მომხმარებლისათვის მისი მიწოდების დავალებებს.

ქვეყანაში ხორციელდება კაპიტალური მშენებლობის ვრცელი პროგრამა. მიმდინარე წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 134 მილიარდ მანეთს, ანუ 2,7 პროცენტით მეტს, ვიდრე 1979 წელს, ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდები 1981 წლის დამდეგისათვის 1,1 ტრილიონ მანეთს გადააჭარბებს.

მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო, თუ როგორ ხორციელდება სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების პროგრამა. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გეგმით გათვალისწინებული 2,9 პროცენტის ნაცვლად, შარშანდელთან შედარებთან, 3 პროცენტით გაიზრდება, მოიმატებს მუშებისა და მოსამსახურეების, კოლმეურნეების საშუალო ფულადი ხელფასი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარება და მეღვაოეობა 1980 წელს 116,5 მილიარდ მანეთს მიაღწევს. გასულ წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა 5 პროცენტით გაიზრდება და დაახლოებით 267 მილიარდ მანეთს შეადგენს. მაგრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, ცალკეულ სახეობათა სასურსათო და არასასურსათო საქონელზე მოთხოვნა ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება.

1980 წელს ახალ ბინებს მიიღებს და საცხოვრებელ პირობებს გაიუმჯობესებს 10 მილიონზე მეტი კაცი. დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა 108 მილიონ კვადრატულ მეტრს გადააჭარბებს.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის განვითარებაში, მშრომელთა ბრმადის ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში.

ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ტემპი დიდად შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვნწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულად ხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი.

მომხსენებელმა თქვა, რომ შრომის ნაყოფიერების საგეგმო დავალებანი მთელ რიგ დარგებში არ სრულდება, საკმარისად ეფექტიანად არ იყენებენ საწარმოების ძირითად ფონდებს, ნედლეულს, სათბობსა და მასალებს, დროულად არ ამოქმედებენ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს, ნელა ხდება პროდუქციის ასორტიმენტის განახლება და ხარისხის გაუმჯობესება.

ზოგიერთი სამრეწველო სამინისტრო თუმცა დადაჯარბებით ასრულებს პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობის დავალებებს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ცალკეულ სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმებს. 1980 წელს მთლიანად ვერ სრულდება ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვების, შავი ლითონების, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის პროდუქციის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოებისა და პლასტიკური მასების წარმოების დავალებანი, ჩამორჩება სახალხო მოხმარების ბევრი საქონლის, მათ შორის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის წარმოება, ნელა უჭობესდება პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი.

ნ. კ. ბაიბაკოვმა დაახასიათა საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში. მან თქვა, რომ საწარმოო დანიშნულების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანესი ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე კაპიტალდაბანდებათა და სიმძლავრეთა თავმოყრის მიზნით მთავრობამ გადაწყვიტა დროებით შეზღუდოს დამინისტრაციული შენობების, სანახობითი და სპორტული ნაგებობების მშენებლობა.

ამ პრინციპული ხაზის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს შემდგომი სამეურნეო მშენებლობის მაგისტრალურ გზას, 1981 წლის გეგმის ძირითადი ამოცანებია:

— განვაგრძოთ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების კურსი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახელმწიფო საგეგმო დისციპლინის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფის ბაზაზე;

— დავაჩქაროთ მრეწველობის საბაზო დარგების — ენერგეტიკის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის, აგრეთვე ტრანსპორტის მოდერნიზაცია;

— გავაძლიეროთ შეწონასწორება და კომპლექსურობა სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგებისა და ეკონომიკური რაიონების განვითარებაში;

— თანამიმდევრულად განვახორციელოთ მომჭირნეობის უმაკცრესი რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

1981 წელს მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი მეათე ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით გაიზრდება 3,4 პროცენტით, ანუ 15 მილიარდი მანეთით.

სამრეწველო წარმოება გაიზრდება 4,1 პროცენტით, მათ შორის „ა" ჯგუფში — 4,1 პროცენტით და „ბ" ჯგუფში — 4,2 პროცენტით. მრეწველობის ორივე ქვეგანაყოფის განვითარებაში დასახული თანაფარდობა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფას, საწარმოო დარგების მატერიალური რესურსების საჭიროებათა გეგმაზომიერ დაკმაყოფილებას და მოსახლეობის დაგეგმიანებულ-ნარიანი მოთხოვნის უზრუნველყოფას.

1981 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გათვალისწინებულია 135,4 მილიარდი მანეთის ოდენობით. გეგმით დასახული ამ ამოცანათა შესრულებას, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვა და მისი განვითარებისათვის გამოყოფილი უზარმაზარი სახსრების უფრო რაციონალური გამოყენება, უნდა მოჰყვეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო გაერთიანებების საქმიანობის საბოლოო შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

1981 წელს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი და პროპორციები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის აღაღლების დავალებებთან, უწინარეს ყოვლისა — საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. 1981 წელს შრომის ნაყოფიერების გადიდების მეშვეობით განზრახულია სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტს და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი მატების მიღება.

გეგმით დადგენილია დავალებანი, რომლებიც ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ლითონტევადობის შემცირებას, ლითონის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებას. გეგმაში პირველად არის შეტანილი მეორეული ნედლეულის გამოყენებისადმი მიძღვნილი ნაწილი.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებას, რეკონსტრუქციასა და გაფართოებას მოხმარდება 11 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1980 წლის გეგმით იყო დასახული. გათვალისწინებულია დიდძალი ახალ სახელობათა მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების წარმოების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ათვისება.

მომავალ წელს კვლავ განხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

მრეწველობა

გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის შემდგომ განვითარებას. მისი პროდუქციის საერთო მოცულობა 653 მილიარდ მანეთს შეადგენს.

დიდი ყურადღება ეთმობა **სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის** სამძლავრეთა ზრდას, მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას. გამომუშავებული იქნება 1 335 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ყურადღება გამახვილდება ატომურ და ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე. ფართოვდება თბოელექტროსადგურების მშენებლობა ეკიბასტუზისა და კანსკ-აჩინსკის საბადოთა იაფი ქვანახშირისა და დასავლეთ ციმბირის თანამდევი გაზის გამოყენების ბაზაზე.

ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება შეადგენს 610 მილიონ ტონას, ბუნებრივი გაზისა — 458 მილიარდ კუბურ მეტრს, ქვანახშირისა — 738 მილიონ ტონას. ნავთობის მოპოვების ძირითადი რაიონი კვლავდებულად დასავლეთ ციმბირი იქნება. გაიზრდება აგრეთვე ნავთობის მოპოვება კიმი და უდმურტეთის ასს რესპუბლიკებში, სახალინის ოღქისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. გაზის მოპოვების მთელი მატება უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე დასავლეთ ციმბირის ხარჯზე, რომელიც მოპოვების მთელი მოცულობის 42 პროცენტს მოგვცემს.

დიდი ამოცანები დგას სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წინაშე. მან საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს და აითვისოს ქვანახშირის მოპოვების ახალი სიმძლავრენი, აამაღლოს შახტების ტექნიკური აღჭურვილობის დონე და მოწყობილობის გამოყენების ეფექტიანობა, განსაკუთრებით კუზნეცკის, ყარაღანდის, ეკიბასტუზის, კანსკ-აჩინსკის აუზებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ მეურნეობის ყველა უბანზე სათბობის რესურსების ყველაზე რაციონალური გამოყენების მისაღწევად, აღმოვფხვრათ არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები. მან დამსწრეთ მოაგონა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც მიძღვნილია მეორეული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საქმეში შავი, ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გამოცდილებისადმი.

სახალხო მეურნეობის დინამიკური, პროპორციული განვითარება, თქვა შემდეგ ნ. კ. ბაიბაკოვმა, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული **შავ და ფერად მეტალურგიაზე.** გათვალისწინებულია ამ დარგების ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ლითონპროდუქციის პროგრესული და ეკონომიკურ სახეობათა გადიდება. 1981 წელს შავი ლითონების მზა ნაგლინის წარმოება შეადგენს 109,2 მილიონ ტონას, ფოლადის მილებისა—18,5 მილიონ ტონას. მეტალურგებმა უნდა ათვისონ 140 ახალი პროფილის ნაგლინი, გაზარდონ ცივად ნაგლინი ფურცლის გამოშვება, მცირედ ლეგირებული ფოლადის ნაგლინის გამოშვება, რაც ერთობ მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობაში ლითონის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

ფერად მეტალურგიაში გაიზრდება ალუმინის, სპილენძის, ნიკელისა და სხვა ლითონების წარმოება.

1981 წელს დასახულია **ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის** უპირატესი განვითარება. ამ დარგების პროდუქცია 5 პროცენტით გაიზრდება.

გეგმით გათვალისწინებულია მინერალური სასუქების წარმოებისა და ბოლოდროინდელ ეტაპზე ამ დარგებში ინვესტიციების ინტენსიური ათვისების ხარჯზე, ამ ინდუსტრიის ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის ფართოდ გაფართოებისა და ინტენსიფიკაციის ამოცანა. ამ ამოცანის მნიშვნელობა ავსტრალიის ბოლოდროინდელ ტრაგედიასთან ერთად ნათლად ეტყობა ბოლო ოცი წლის მანძილზე ამ ინდუსტრიის ინვესტიციებისადმი ყურადღების ნაკლებობის გამო. ამ ინდუსტრიის ინვესტიციებისადმი ყურადღების ნაკლებობის გამო ბოლო ოცი წლის მანძილზე ამ ინდუსტრიის ინვესტიციებისადმი ყურადღების ნაკლებობის გამო ბოლო ოცი წლის მანძილზე ამ ინდუსტრიის ინვესტიციებისადმი ყურადღების ნაკლებობის გამო ბოლო ოცი წლის მანძილზე ამ ინდუსტრიის ინვესტიციებისადმი ყურადღებ

1981 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები, ტემპი და პროპორციები

1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტს საფუძვლად დაედო პარტიის მითითებანი თანამედროვე პირობებში სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარ ამოცანათა შესახებ.

„სამოცდაათიან წლებში, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დავიწყეთ მთელი ჩვენი ეკონომიკის შემობრუნება ინტენსიური განვითარებისაკენ, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ, იმისაკენ, რომ მთელი ყურადღება დაგვეთმო სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის. ოთხმოციან წლებში მოვალენი ვართ განვაგრძოთ და დავამთავროთ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძია".

მოხსენება შემოკლებით ქვეყნდება.

სოფლის მეურნეობა

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას. ამ ამოცანის მნიშვნელობა კვლავ ხაზგასმით აღინიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე. პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის ფართო გამოყენების პროგრამას.

1981 წელს გათვალისწინებულია ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის შემდგომი ზრდა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდება ძირითადად მიღწეული უნდა იყოს კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გადიდების, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და უკეთ გამოყენების, მელიორაციისა და ქიმიზაციის განვითარების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გზით. უპირველესი მნიშვნელობა აქვს საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისა ამოცანას.

დიდი მასშტაბით განხორციელდება სოფლად კაპიტალური მშენებლობა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით განსაზღვრულია 37,3 მილიარდი მანეთის ოდენობით — 2 პროცენტით მეტი, ვიდრე წელს. გაიზარდა საკვები ბაზის განმტკიცების და ხორცის წარმოების გადიდების, ბოსტნეულ-და კარტოფილსაცავების, სათესლე და საფურაჟე მარცვლეულის საწყობების მშენებლობის ხარჯების წილი. კაპიტალურ დაბანდებათა დაახლოებით მესამედი გათვალისწინებულია მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად. სოფლის მეურნეობა მიიღებს 88,6 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს — 3,5 მილიონი ტონით მეტს, ვიდრე 1980 წელს. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ბრუნვაში მოექცევა 700 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწები, ამოშრება 770 ათასი, გაწყლოვანდება საძოვრები დაახლოებით 6 მილიონ ჰექტარ ფართობზე.

გეგმაში ყურადღება ეთმობა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებას. გაიზრდება მოსახლეობისათვის კონცენტრირებული საკვების, გოჭებისა და ფრინველის მოზარდეულის, სასუქების მიყიდვა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დახმარებას გაუწევენ მოსახლეობას საკვების დამზადებაში, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, ჯარბი პროდუქციის რეალიზაციაში. საჭიროა აგრეთვე გამოვიყენოთ არსებული ადგილობრივი რეზერვები, განვითაროთ სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა დამხმარე სოფლის მეურნეობა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებაში საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის გეგმით დასახულია 2,6 პროცენტით გაიზარდოს ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. გათვალისწინებულია ტრანსპორტის და უწინარეს ყოვლისა რკინიგზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

გზათა სამინისტრომ და რკინიგზის სამმართველოებმა, აგრეთვე სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც რკინიგზების მოძრავ შემადგენლობას იყენებენ, უნდა უზრუნველყონ მკაცრი დისციპლინის დაცვა უდიდესი სატრანსპორტო მექანიზმის ყველა რგოლში, ლოკომოტივებისა და ვაგონების პარკის რაციონალური გამოყენება, შრომის მოწონავე მეთოდების დანერგვა.

სახალხო მეურნეობის მზარდი ავტომობილიზაცია გულისხმობს საავტომობილო ტრასების ქსელის მუდმივ გაფართოებასა და სრულყოფას. უნდა აშენდეს 21 ათასი კილომეტრი საავტომობილო გზები, გაგრძელდეს ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტოტელების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების განვითარება ავტომაგისტრალებზე.

აეროპორტი მიიღებს ახალ, უფრო კომფორტულ თვითმფრინავებს, გაფართოვდება ასაფრენ-დასაფრენი ხაზების ქსელი, გაუმჯობესდება მგზავრების მომსახურება.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მოეწყობა კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საშუალებათა განვითარებისათვის.

კაპიტალური მშენებლობა

სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებანი დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით განსაზღვრულია 140,2 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 4,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1980 წელს არის მოსალოდნელი. ამასთან სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი შეადგენს 124,1 მილიარდ მანეთს და 5,2 პროცენტით გაიზრდება.

კაპიტალური დაბანდებების გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო, რომ საჭიროა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, ლითონზე, მანქანებსა და მოწყობილობაზე, მინერალურ სასუქებზე, სატრანსპორტო ტვირთზიდვაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და დაცვა-შენახვის სიმძლავრეებზე.

მანქანათმშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი გათვალისწინებულია ტექნიკური პროგრესის გამსაზღვრელ დარგებში, აგრეთვე ელექტროენერგეტიკაში, ფერადი მეტალურგიაში, ქიმიურ, ნავთობქიმიურ, ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხე-ტყის, ფოტოგრაფიულ-ფოტოსაპარატების, ელექტრომტვირთსასრუტების, ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭლის, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლისა და სხვა ნაწარმის ასორტიმენტი და გაიზრდება მათი გამოშვება.

სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

დასახულია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი. ეროვნული შემოსავლის რესურსების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობის დაგეგმილი ზრდა საშუალებას მოგვცემს 2,9 პროცენტით გავზარდოთ რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი გაიზრდება 171 მანეთამდე, ხოლო კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება — 123 მანეთამდე.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 1981 წელს 121,5 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

ქვეყნის რაიონების მიხედვით კვლავ შემოვიღებთ წელთა ნამსახურობის სართის მიცემას მშენებლობისა და რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობის მუშაკებისათვის. ასეთ სართებს შემოვიღებთ და რკინიგზის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა მუშაკებისათვის. უფრო ფართოდ გამოვიყენებთ ხელფასის რაიონულ კოეფიციენტების ცალკეულ დარგებსა და ქვეყნის რაიონებში. გაიზრდება სართი ღამით მუშაობისათვის და სხვა შეღავათები დაიწესდებათ, სამდინარო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობის მუშაკებს.

შემოვიღებთ ხელფასის ყოველთვიურ დანამატებს, რომლებიც მიეცემათ სოფლად მდებარე უბნის საავადმყოფოებისა და ამბულატორიების ექიმებს, ქალაქის პოლიკლინიკების უბნის თერაპევტებსა და პედიატრებს და ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთ სხვა დაწესებულებათა მთელი რიგი კატეგორიების ექიმებს ჯანმრთელობის დაცვის აღნიშნულ დაწესებულებაში სამ წელზე მეტ ხანს უმუშავიეტი მუშაობისათვის.

გათვალისწინებულია ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გაძლიერებისა და მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი.

კვლავ გაგრძელდება სახელმწიფო შინაგანი სესხის აღრე გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა.

მოსახლეობის შემოსავლისა და სახალხო მოხმარების საქონლის რესურსების ზრდის გათვალისწინებით სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა ნავარაუდევია 280 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 4,9 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მაჩვენებელს.

გაგრძელდება საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელება. დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე დასახულია აშენდეს 108,9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს საშუალებას მოგვცემს საბინაო პირობები გავუუმჯობესოთ 10 მილიონზე მეტ კაცს. ქალაქის ერთი მცხოვრების საშუალო უზრუნველყოფა ბინების საერთო ფართობით 13 კვადრატულ მეტრს მიაღწევს.

გეგმით გათვალისწინებულია სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობის გადიდება 6,9 მილიარდ მანეთამდე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განხორციელდება პირადი დამხმარე მეურნეობისათვის საჭირო საკარმიდამო სამეურნეო ნაგებობებთან კომპლექსით.

კომუნალური მეურნეობის გაფართოებისათვის უნდა აშენდეს 17 ათას კილომეტრზე მეტი წყალსადენის, საკანალიზაციო, თბო და გაზის ქსელები.

კიდევ უფრო განვითარდება სახალხო განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებისა და კომუნისტური შაბათობების სახსრების ხარჯზე დასახულია აშენდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 900 ათასი მოსწავლისათვის. მათ შორის სოფლად — 424 ათასი მოსწავლისათვის, და კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე — 140 ათასი მოსწავლისათვის. დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1981-82 სასწავლო წელს ისწავლის 39 მილიონზე მეტი კაცი. გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში იმეცადინებს 11 მილიონზე მეტი მოსწავლე.

მუდმივი სამბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი, მათ შორის კოლმეურნეობებში, მიიღებენ 15 მილიონზე მეტ ბავშვს.

1981 წელს ყველა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს თითქმის 2,4 მილიონი კვალიფიციური მუშა. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვება შეადგენს 2,1 მილიონ კაცს.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდების და კომუნისტური შაბათობების სახსრების ხარჯზე აშენდება ახალი საავადმყოფოები და ამბულატორია-პოლიკლინიკები. გაფართოვდება სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების ქსელი.

ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას, როგორიც არის ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

მომხსენებელმა თქვა, რომ ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას უნდა მოხმარდეს 1,8 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი. ამ მიზნისათვის მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფენ აგრეთვე საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯ

სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს სსრ კავშირის 1981 წლის — მეთრამეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მომავალი წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია როგორც სკკპ XXVI ყრილობის— ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენის წელი. ყრილობა განსაზღვავს კომუნისტური მშენებლობის მომავალ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი აღინიშნება ახალი დიდი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში, მკაფიოდ ადასტურებს პარტიის ლენინური სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკის გამარჯვებას, სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შეფასებული პოლიტიკური კურსის სისწორესა და ცხოველუნარიანობას.

პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, მათ ურღვევ შეკავშირებას ცენტრალური კომიტეტის, ლენინური პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

მიმდინარე წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ გაწეული დიდი ორგანოტორული და პოლიტიკური მუშაობის, მშრომელთა ფართოდ გაშლილი საყოველობო შეჯიბრების მეოხებით, მიღწეულია დიდი წარმატებანი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. მტკიცედ წაიწია წინ სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ. 1979 წელთან შედარებით გაიზარდა ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების აბსოლუტური მატება. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები.

თანამიმდევრულად ისახამს ხორცს სოფლის მეურნეობის აღმავლობის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა. არახელსაყრელი ამინდის პირობების გავლენის მიუხედავად, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შესყიდვა. ეს დასტურებს, რომ სწორი და ეფექტიანია პარტიის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის — სოციალისტური ეკონომიკის საარსებო მნიშვნელობის დარგის დაჩქარებული განვითარების კურსი.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ნამდვილად ლენინური ზრუნვის გამოვლინება იყო სკკპ XXV ყრილობის - სოციალური პროგრამის გეგმაზომიერი განხორციელება.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდის საფუძველზე გადიდდა მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ხელფასი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდა სახალხო მეურნეობაში პენსიონერთა მუშაობის მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დახმარებანი და შეღავათები, რომლებიც მოსახლეობას ეძლევა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. 1980 წელს მათმა საერთო ოდენობამ 116,5 მილიარდ მანეთს მიაღწია და 1979 წელთან შედარებით 5,7 პროცენტით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვა გადიდდება 14,7 მილიარდი მანეთით და შეადგენს 267 მილიარდ მანეთს. აშენდა 108 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის მეოხებითაც სახლით პირობება გაიუმჯობესა 10 მილიონმა კაცმა.

სახალხო მეურნეობის მყარმა განვითარებამ განსაზღვრა სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემოსავლის ნაწილში 100,3 პროცენტითა და გასავლის ნაწილში — 99,6 პროცენტით.

ჩვენი მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მტკიცე საფუძველს უქმნიან სახალხო მეურნეობის შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას და უზრუნველყოფენ მეორეთმეტე ხუთწლედის წარმატებულ სტარტს.

კომუნისტური პარტია, თქვა მომხსენებელმა, საბჭოთა ხალხს მოუწოდებს განამტკიცოს მიღწეული შედეგები, უფრო სრულად გამოიყენოს არსებული რეზერვები, მთელი ძალ-ღონე, შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია მოახმაროს კომუნისტური აღმშენებლობის ახალი დიდებული გეგმების განხორციელებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები, განსაზღვრა ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემები და სტრატეგიული ამოცანები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემუშავებულია თანამედროვე ეტაპზე პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კარდინალურ საკითხებზე სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრისა და 1980 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლათა საფუძველზე.

პარტიის მიერ აღებული კურსი მთელ ეკონომიკას მტკიცე ორიენტირად უსახავს ინტენსიური განვითარების გზას, ითვალისწინებს მისი საკვანძო, საარსებო მნიშვნელობის რგოლების — სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ტრანსპორტის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის, სოფლის მეურნეობისა და „ბ“ ჯგუფის მრეწველობის უპირატესი ზრდისათვის ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას.

ბიუჯეტი შედგენილია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური გაერთიანების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესაბამისად და საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას.

ბიუჯეტის შემოსავალი განსაზღვრულია 298,2 მილიარდი მანეთის ოდენობით, გასავალი — 298 მილიარდი მანეთის ოდენობით. მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ისინი გაიზრდება 4,7 პროცენტით.

შემოსავლის მთავარი წყაროა იყო და არის შემოსულობანი სოციალისტური მეურნეობისაგან. მათ წილად მოდის ბიუჯეტის მთელი რესურსების ცხრა მეათედი.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებას, საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების გათვალისწინებით, მოხმარდება 304,3 მილიარდი მანეთი, რაც 12,4 მილიარდი მანეთით მეტია მიმდინარე წელთან შედარებით. ეს მნიშვნელოვანი სახსრები უზრუნველყოფენ გეგმით გათვალისწინებულ ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდას, მოქმედ საწარმოთა მოდერნიზაციარეკონსტრუქციას, მათ აღჭურვას მოწინავე ტექნიკით, საბრუნავი ფონდების საჭირო მატებას.

გეგმა და ბიუჯეტი, აღნიშნა მომხსენებელმა, მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების გასაუჯობესებლად გამიზნულ პარტიის გენერალურ გეზს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავალი 2,9 პროცენტით გადიდდება. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 5 მილიარდი მანეთით გაიზრდება და 121,5 მილიარდ მანეთს შეადგენს. გამოყოფილია 900 მილიონი მანეთი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

1981 წელს დასახულია მოუწყოს მოსახლეობასა და კოლმეურნეობებს შორის განაწილებული 1,5 მილიარდი მანეთის სახელმწიფო საშინაო სესხების ობლიგაციათა დაფარვის ტირაჟები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის საბინაო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. 1981 წელს საბინაო მშენებლობისათვის, გათვალისწინებულია გამოიყოს 18,7 მილიარდი მანეთი, რაც 500 მილიონი მანეთით მეტია მიმდინარე წელთან შედარებით. ეს შესაძლებელს გახდის საექსპლოატაციოდ გადაეცეს თითქმის 109 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და უზრუნველყოფს 10 მილიონზე მეტი კაცის საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ სამამულო მეცნიერების განვითარებისათვის. მომავალ წელს სამეცნიერო კვლევის ხარჯები 6,1 პროცენტით გაიზრდება და 22,6 მილიარდ მანეთს შეადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — გარემოს ეფექტიანი დაცვისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ წელს ბუნების დაცვის ახალი დიდმნიშვნელოვანი კანონები მიიღო. ამ კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, 1981 წლისათვის გამოყოფილია 6 მილიარდი მანეთი, რაც მოხმარდება წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების, სამრეწველო საქმიანობის ნარჩენების გაუვნებლებლობის, ტყესაფარი ზოლების გაფართოებისა და ტყის აღდგენის, მიწების რეკულტივაციისა და მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელებას.

მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის მიჩვენებლებში მთლიანად აისახა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომლის მიზანია ეროვნულ ეკონომიკათა მჭიდრო ურთიერთმოქმედება წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაფართოების და შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების გაღრმავების საფუძველზე. გამოყოფილი რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი შესაძლებელს გახდიან კვლავაც განხორციელდეს თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის საინტეგრაციო ღონისძიებათა ფართო კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო და სწორ გზას სოციალიზმის მომშე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ახალი მაღალი მიჯნების მისაღწევად.

გათვალისწინებულია გაფართოვდეს ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობა განვითარებად სახელმწიფოებთან, გაგრძელდეს სავაჭრო გაცვლა და საქმიანი კონტაქტები ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გეგმები ახალი ხუთწლედის პირველი წლისათვის ფართო სივრცეს გადაუშლიან ჩვენი საზოგადოების შემდგომ პროგრესს ყველა დარგში, ეფექტიანად ერგებულ წინსვლას კომუნისტური მშენებლობის გზით, თქვა მომხსენებელმა. ეს გეგმები ეფუძნება პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს. და აშკარად გამოხატული სამშვიდობო მიმართულებისანი არიან. მათი საფუძველია საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომა ჩვენი დიადი სამშობლოს სასახელოდ.

1981 წლის გეგმასა და ბიუჯეტში მრეწველობას ყველა წყაროს ხარჯზე მეტი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობის ყველა დაბანდებათა ნახევარზე მეტი. ამ სახსრების მეშვეობით გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი საწარმოო სიმძლავრენი, განხორციელდეს ბევრი მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

ფართო ფრონტად წარიმართება წარმოების ხარისხობრივი სტრუქტურის სრულყოფის სამუშაოები საბაზო დარგების — ენერგეტიკისა და მთელი თბო-ენერგეტიკული კომპლექსის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის, ქიმიის მოდერნიზაციის საფუძველზე. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზრდება 4,1 პროცენტით.

დაბანდებათა ძირითადი ნაწილი — 133,5 მილიარდი მანეთი 1981 წელს მოხმარდება მძიმე მრეწველობის განვითარებას, როგორც პარტიას თავისი სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლად მიაჩნია. დაახლოებით 36 მილიარდი მანეთია გამოყოფილი თბო-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებისათვის, რათა მათ თანამმდევრულად განახორციელონ საერთო სახელმწიფოებრივი ენერგეტიკული პროგრამა.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1981 წლის გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულია მრეწველობის „ბ“ ჯგუფის დარგების უფრო სწრაფი განვითარება. მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და მოსახლეობისათვის საქონლის დამზადებელი სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებისათვის გამოიყოფა 28,5 მილიარდი მანეთი. მრეწველობის „ბ“ ჯგუფის დარგების წარმოების მოცულობა 4,2 პროცენტით გაიზრდება.

სამრეწველო წარმოების დაგეგმილი გადიდება უზრუნველყოფილი იქნება საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ეკონომიური სტიმულირების ფონდების ეფექტიანი გამოყენების გზებს, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ამოცანებს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და დაგროვების გადიდების გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. 1981 წელს შრომის ნაყოფიერება მთლიანად მრეწველობაში უნდა გაიზარდოს 3,6 პროცენტით, რაც უზრუნველყოფს სამრეწველო წარმოების მოცულობის მთელი გადიდების 88 პროცენტს და მნიშვნელოვნად დაგვიზოგავს შრომითს რესურსებს.

1981 წლის გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაზოგოთ 41 მილიონი ტონა პირობითი სათბობი, უზრუნველყოთ ლითონისა და სხვა ნედლეულისა და მასალების დაზოგვა. ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ წარმოების ხარჯები და მილიარდი მანეთით გავზარდოთ მოგება.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებას.

1981 წელს ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარებისათვის გამოიყოფა 32,3 მილიარდი მანეთი, ანუ ზრდა 8,7 პროცენტს შეადგენს. ამ სახსრებიდან 9,4 მილიარდი მანეთი მოხმარდება რკინიგზის ტრანსპორტს.

განუხრელად ხორციელდება წარმოების მართვის სრულყოფის კურსი. ეს მიჩნეულია მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანეს რეზერვად. 1981 წელს განხორციელდება მეურნეობრიობის იმ ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით და „დაგეგმის გაუჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ სკკპ ლენინურ აგრარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის მტკიცე აღმავლობის უზრუნველყოფა. ეს სამუალებას მოგვცემს თანამიმდევრულად გადავუყვეთოთ ჩვენი დროის სტრატეგიული ამოცანა — სულ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სურსათზე და მრეწველობისა — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

1981 წლის გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება. დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში ბიუჯეტის, ბანკის სესხისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების ხარჯზე განსაზღვრულია 51,6 მილიარდი მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას 20 მილიარდი მანეთი მოხმარდება.

სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით კაპიტალდაბანდებათა საერთო ზრდა გათვალისწინებულია 37,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ სახსრების ხარჯზე განახორციელებენ მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების, მეცხოველეობის ახალი ნაგებობების, გზების მშენებლობის, სამუშაოთა მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვის, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის, სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღონისძიებებს. დასახულია გავზარდოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ახალი ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად 1981 წელს რუსეთის სფსრ არაშავმოწანიდაგიან ზონაში განხორციელდება დიდი მასშტაბის სამუშაოები შემდგომი საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. ამ ღონისძიებებისათვის გამოიყოფა 8,2 მილიარდი მანეთი.

გეგმითა და ბიუჯეტით გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური რესურსები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოიყოფა 124,1 მილიარდი მანეთი, მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ზრდა შეადგენს 5 მილიარდ მანეთს. პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესაბამისად ეს რესურსები ძირითადად მოხმარდება მძიმე ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ მშენებლობებს. გათვალისწინებულია ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი მატება ენერგეტიკაში, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, ქიმიაში, მრეწველობის „ბ“ ჯგუფის დარგებში. გეგმასა და ბიუჯეტში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდებისა და მათი ანაზღაურების ვადების შემცირებისათვის დასახულია მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მოცულობის გაფართოების ღონისძიებანი.

პარტიის სოციალური პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საქონლისა და მომსახურებაზე საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება. 1981 წლის გეგმასა და ბიუჯეტში დასახულია ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სახსრების დაბანდებანი განსაზღვრულია 7,4 მილიარდი მანეთის ოდენობით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის, თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ყოველმხრივი განვითარების ვრცელ პროგრამას.

1981 წელს განხორციელდება ახალი დიდი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების სფერო, გაფართოვდეს და გაიზარდოს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯები უზარმაზარ თანხას — 101,8 მილიარდ მანეთს მიაღწევს და თითქმის 4,6 მილიარდი მანეთით გაიზრდება.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ზრუნვით არის გარემოსილი მოზარდი თაობა. 1981 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დასახულია აშენდეს ახალი სკოლამდელი დაწესებულებანი 530 ათასი ბავშვისათვის. სახალხო განათლების სისტემას შეემატება ახალი სკოლები. გათვალისწინებულია უმაღლესი სკოლის შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე კადრების საშუალო რგოლის მომზადების ღონისძიებანი. უპირატესად განვითარდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

კიდევ უფრო განმტკიცდება ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აქტიურად განხორციელდება მუშაობა, რათა საავადმყოფოები უზრუნველყოფილ იქნენ ყოველივე იმით, რაც საჭიროა მეურნეობისათვის მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დონეზე.

1981 წელს ყველა სახეობის პენსიის გადასახდელად გათვალისწინებულია 35,2 მილიარდი მანეთი, ანუ ზრდა შეადგენს 7 პროცენტს.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ საბჭოთა ხალხი, სხვა ქვეყნების ხალხები მშვიდობიანი პირობებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საყოველთაო პროგრესისათვის, მიზანდასახულად და ღრმა თანამიმდევრობით ახორციელებენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები მთელ მსოფლიოს უჩვენებენ მშვიდობისმოყვარეობასა და კეთილ ნებას, იჩენენ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, სახავენ რეალურ გზებს საყოველთაო განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევისათვის, თქვა მომხსენებელმა.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ომისმოტრფიალე წრეები და მათი თანამზრახველები ნატოს იმპერიალისტურ ბლოკში, რომლებიც ომიზრზებენ ყალბ მითს „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ, ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ დაძაბულობის შენელების ობიექტური პროცესი, ამკარად ადგანან შეიარაღების ზრდის გეზს და უზომოდ ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტებს.

ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვიდარებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ნამდვილ ლენინურ თავშეკავებას, ურყეობასა და პრინციპულობას, მტკიცედ იცავენ და ახორციელებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის კურსს.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წინანდებურად განუხრელად და მტკიცედ იბრძვის გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, სამხედრო და პოლიტიკური დაძაბულობის შენელებისათვის, დღენიადაგ ზრუნავს ჩვენი შეიარაღებული ძალების განსამტკიცებლად. სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის თავდაცვის ხარჯები გათვალისწინებულია 17,05 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ ბიუჯეტის ნარჯების — [illegible] პროცენტს შეადგენს.

[illegible] — [illegible] — [illegible] — [

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯერ

საბჭოთა ინიციატივების აქტუალობა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში გრძელდება განხილვა განიარაღების პრობლემებისა, კერძოდ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი „ომის საშიშროების შემცირების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ“. საბჭოთა წინადადებანი სამხედრო კავშირების გაფართოებაზე, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების გადიდებაზე უარის თქმის შესახებ, უბრძოლო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცებისა და ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის საერთაშორისო ხელშეკრულების უსწრაფესად დადების შესახებ დისკუსიის მონაწილეთა დიდ ყურადღებას იპყრობს.

საბჭოთა ინიციატივების განხორციელება ხელშემწყობ პირობებს შექმნიდა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცებისა და სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პ. ფლორინმა. საერთაშორისო ურთიერთობის წარმალიზაციის ინტერესებისათვის, აღნიშნა მან, საჭიროა აღიკვეთოს მსოფლიოს დაყოფა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებებად.

ბულგარეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. ცვეტკოვმა თქვა, რომ „აცობრიობის წინაშე არ დგას უფრო დიდშიშველოვანი ამოცანა, ვიდრე მშვიდობის უზრუნველყოფა მომავალი თაობებისათვის. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის მიერ ამ სესიაზე შემოტანილ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია სასწრაფო ღონისძიების განხორციელება ომის საშიშროების შემცირებისათვის, ხაზი გაუსვა ბ. ცვეტკოვმა. ჩვენი აზრით, დისკუსია ამ საკითხზე კონსტრუქციულ ხასიათს უნდა ატარებდეს და უნდა მოგვცეს საშუალება შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს შეუკავებელი გამალებული შეიარაღების ალაგმვას და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

ამ ბოლო დროისათვის დამახასიათებელი საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება იმით აიხსნება, რომ იმპერიალიზმისა და ჰეგემონიზმის ძალები ცდილობენ უკუღმა შეატრიალონ დაძაბულობის შენელების ტენდენცია სახელმწიფოების ურთიერთობაში, განაცხადა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგატმა ვო ან ტუანმა.

ამასთან დაკავშირებით ვო ან ტუანმა აღნიშნა, რომ აქტუალური და დროულია სსრ კავშირის ახალი წინადადებები, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების განმტკიცება.

საშიში მანევრები

ვაშინგტონი. როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა გამოაცხადა, ომანის ყურეში, ირანის მახლობლად, დაიწყო ამერიკა-ინგლისის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო მანევრები, რომლებიც 4 ნოემბრამდე (პრეზიდენტის არჩევნების დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში) გასტანს. მასში მონაწილეობს 18 000 კაცი, 25 სამხედრო ხომალდი ამერიკის დამკვრელი ავიამზიდების „მიდუეისა“ და „ეიზენჰაუერის“ მეთაურობით, 170 საბრძოლო თვითმფრინავი. პენტაგონის სიტყვით, ამ აშკარად პროვოკაციული წვრთნის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების „საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესება“ სპარსეთის ყურის რაიონში, სულ სპარსეთის ყურესთან თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების — ინგლისის, ავსტრალიისა და საფრანგეთის 60-ზე მეტი სამხედრო ხომალდი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

22 ოქტომბერი

● **გუდაკაუზეტი.** მიშკოლცის ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში დაიწყო ახალი საკონვერტერო ხაარჩოს პირველი რიგის გამოცდა. ხაარჩო შენდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

● **ქაბული.** გრძელდება სახალხო შეიარაღებული ძალების, სახალხო მილიციის, პარტიული აქტივისტების წარმატებული — ოპერაციები მოსახლეობის დახმარებით კონტრრევოლუციური ბანდების საშიფის ლიკვიდაციისათვის, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ. ქაბულში მიღებული ცნობებით, ამ დღეებში სამანგანის პროვინციაში გაანადგურეს ერთ-ერთი ასეთი ბანდა.

● **ოტავა.** ონტარიოს პროვინციის შრომის ფედერაციის მოწოდებით ტორონტოში გაიმართა მუშათა მასობრივი დემონსტრაცია, რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა ტრანსპარანტებით ჩაიარა ქალაქის ქუჩებში და გაიმართა პარლამენტის შენობისაკენ, სადაც მასობრივი მიტინგი მოეწყო. მიტინგზე გამოსულნი მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას.

● **ტოკიო.** იაპონელთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ ძ. სუძუკის მთავრობას, ერთი თვის განმავლობაში, თითქმის 6 პროცენტით შემცირდა.

ზეიარაღებული პროვოკაციები

ჯაკარტა, 22 ოქტომბერი. პეკინის განუწყვეტელი შეიარაღებული პროვოკაციები იმის ერთადერთი მიზეზია, რომ ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა, წერს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნიან ზანი“. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრისპირა პროვინციებს, აღნიშნავს გაზეთი, თთქმის ყოველდღიურად უშენს არტილერიის ცეცხლს ჩინეთის მხარე. ჩინელ ჯარისკაცთა შეიარაღებული ჯგუფები გამუდმებით გადმოდიან ვიეტნამის ტერიტორიაზე, ძარცვავენ და ანგრევენ სამეურნეო ობიექტებს. გათავხედებულ ეჭსპანსიონისტთა ეს მოქმედება უდიდეს ზარალს აყენებს ქვეყანას, ხელს უშლის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას.

ამავე დროს ჩინეთის ხელისუფალნი თავხედურად ცდილობენ თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ვიეტნამს დააკისრონ ბრალი. იმისათვის, რომ ცილი დასწამოს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში, ჩინეთი თვალთმაქცურად ლაყბობს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მხრივ არარსებული „მუქარის“ შესახებ, თვითონ იმუქრება, რომ „მეორე გაკვეთილს მისცემს“ ვიეტნამს.

პეკინი ყოველგვარი საბაბით უარს ამბობს ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ჩატარებაზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, აეჭიურებს ძირგამოთხრილ და პროვოკაციულ საქმიანობას ვიეტნამის, კამბოჯიისა და ლაოსის წინააღმდეგ, წერს „ნიან ზანი“.

ჩინეთმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი მტრული საქმიანობა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, აღნიშნავს „ნიან ზანი“.

რადიაქტიური ღრუბელი მოგზაურობს

სან-ფრანცისკო, 22 ოქტომბერი. გიგანტურმა რადიაქტიურმა ღრუბელმა, რომელიც წარმოიშვა 16 ოქტომბერს ატმოსფეროში ჩინეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შედეგად, გადასერა წყნარი ოკეანე და ჩამოწვა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე. როგორც გარემოს დაცვის სამთავრობო საბაგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა, ეს სამსახური იძულებული იქნება ყოველდღიურად შეამოწმოს ჰაერის რადიაქტიური მოწამვლა ჩვეულებრივი შეიარწმუნებისაგან განსხვავებით, რომელიც კვირაში ორჯერ სრულდება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი რძის შემოწმებას, რომელზეც, როგორც სპეციალისტებს მიუჩნიათ, განსაკუთრებით მკვეთრ ზეგავლენას ახდენს რადიაქტიური მოწამვლა. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, ფერმერები, გაფრთხილებული არიან, რომ „ჩინური ღრუბლის“ გავლის რაიონში შესაძლებელია ნიადაგისა და საძოვრების რადიაქტიური მოწამვლა.

ჩინეთში ბირთვული აფეთქებიდან მომდევნო ორი დღე-ღამის განმავლობაში თვითმფრინავების პილოტები, რომლებიც წყნარი ოკეანის გავლით ახორციელებენ რეისებს, იძულებული იყვნენ მნიშვნელოვან მანძილზე ასცდენოდნენ ნორმალურ მარშრუტებს, რათა თავიდან აეცილებინათ საშიშ ღრუბელთან შეხვედრა, რომელიც რადიაქტიური მოწამვლით ემუქრებოდა საჰაერო ლაინერებსა და საშიშროების წარმოადგენდა მგზავრთა ჯანმრთელობისათვის. საგანგებო ღონისძიება გახდა საჭირო სან-ფრანცისკოს აეროპორტში იაპონიის ავიაკომპანიის თვითმფრინავის მიღებისათვის, რომელიც მიფრინავდა ტოკიო-სან-ფრანცისკოს მარშრუტით და რადიაქტიურ ღრუბელს ახლოს ჩაუარა.

ფოტოინფორმაცია

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა იტალიის უდიდესი საავტომობილო მშენებლობის კომპანიის ფიატის ტურინის ქარხნებში, საიდანაც მასობრივად ითხოვენ მშრომელებს. ქარხნის შესასვლელთან ეწყობა ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაციები.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია ტურინში.

ასოციეიტედ პრეს-საკადრო-საინფორმის ფოტო.

საბჭოთა ინიციატივების აქტუალობა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში გრძელდება განხილვა განიარაღების პრობლემებისა, კერძოდ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი „ომის საშიშროების შემცირების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ“. საბჭოთა წინადადებანი სამხედრო კავშირების გაფართოებაზე, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების გადიდებაზე უარის თქმის შესახებ, უბრძოლო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცებისა და ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის საერთაშორისო ხელშეკრულების უსწრაფესად დადების შესახებ დისკუსიის მონაწილეთა დიდ ყურადღებას იპყრობს.

საბჭოთა ინიციატივების განხორციელება ხელშემწყობ პირობებს შექმნიდა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცებისა და სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პ. ფლორინმა. საერთაშორისო ურთიერთობის წარმალიზაციის ინტერესებისათვის, აღნიშნა მან, საჭიროა აღიკვეთოს მსოფლიოს დაყოფა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებებად.

ბულგარეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. ცვეტკოვმა თქვა, რომ „აცობრიობის წინაშე არ დგას უფრო დიდშიშველოვანი ამოცანა, ვიდრე მშვიდობის უზრუნველყოფა მომავალი თაობებისათვის. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის მიერ ამ სესიაზე შემოტანილ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია სასწრაფო ღონისძიების განხორციელება ომის საშიშროების შემცირებისათვის, ხაზი გაუსვა ბ. ცვეტკოვმა. ჩვენი აზრით, დისკუსია ამ საკითხზე კონსტრუქციულ ხასიათს უნდა ატარებდეს და უნდა მოგვცეს საშუალება შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს შეუკავებელი გამალებული შეიარაღების ალაგმვას და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

ამ ბოლო დროისათვის დამახასიათებელი საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება იმით აიხსნება, რომ იმპერიალიზმისა და ჰეგემონიზმის ძალები ცდილობენ უკუღმა შეატრიალონ დაძაბულობის შენელების ტენდენცია სახელმწიფოების ურთიერთობაში, განაცხადა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგატმა ვო ან ტუანმა.

ამასთან დაკავშირებით ვო ან ტუანმა აღნიშნა, რომ აქტუალური და დროულია სსრ კავშირის ახალი წინადადებები, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების განმტკიცება.

ანალიზის ეფექტიანი მეთოდი

საბჭოთა საპლანეტათშორისო ხომალდების მიერ დედამიწაზე ჩამოტანილი მთვარის გრუნტის ნიმუშები თავისი შემადგენლობით ყველაზე ახლოს დგას დედამიწის უძველეს ქანებთან — ანორთოზიტებთან და ბაზალტებთან. ეს ადასტურებს დასკვნას, რომ დედამიწა და მთვარეც ერთი ხნის — დაახლოებით ოთხნახევარი მილიარდი წლისაა.

მონაცემები მთვარის გრუნტის შედგენილობის შესახებ მიღებულია ახალი მეთოდის —მყარი სხეულების მასა-სპექტომეტრიული ანალიზის საშუალებით. მისი დახმარებით წყდება არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერული პრობლემები, არამედ სახალხო მეურნეობის საარსებო პრაქტიკული ამოცანები. მაგალითად, შესაძლებელია ნახევარგამტარული მიკროსქემების დამზადების ურთულესი ტექნოლოგიის კონტროლი, მათ გარეშე კი ვერ წარმოვიდგენთ ვერც კოსმოსურ ხომალდს და ვერც თანამედროვე რადიომიმღებს, ტელევიზორს, ელექტრონულ საათს და ა. შ.

ასეთი მაგალითი უამრავია. მყარი სხეულების მასა-სპექტრომეტრიული ანალიზის გზების შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული სემინარის მონაწილეებმა — მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, ეკატერინბურგის, ტომსკის, ფრუნზეს, ალმა-ათის, ბაკურიანის, ბაკურიანის, ბაკურიან